ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4519187

ნომერი: AR1683886

თარიღი : 27.05.2019

გაცემის თარიღი : 28.05.2019

გაცნობის თარიღი : 28.05.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა, N 20თ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელგუჯა ცაგარეიშვილი პ/ნ 01025022264
- კოსტავას ქ. N26

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 დეკემბრის №4313812 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 27

მაისს №AR1683886 განცხადებით მომართა ელგუჯა ცაგარეიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 21 დეკემბრის №4313812 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 დეკემბრის №4313812 ბრძანებით ქალაქ თბილისში, გოთუას ქუჩა N20-ში, N01.10.13.010.089 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 21 დეკემბრის №4313812 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, აღნიშნულ ბრძანებაში, „გაფრთხილების“ ველში „საზოგადოებრივი საზღვრები: გააჩნია აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით გზების მხრიდან (იხ. დანართი)"-ის ნაცვლად დაფიქსირებულია „საზოგადოებრივი საზღვრები: გააჩნია აღმოსავლეთით გზის მხარეს (იხ. დანართი)“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული შეცდომის გასწორებას, საზოგადოებრივ საზღვრებთან დაკავშირებით.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. კერძოდ, N01.10.13.010.089 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს საზოგადოებრივი საზღვრები გააჩნია აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით არსებული გზების მხრიდან. აქედან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 დეკემბრის №4313812 ბრძანებაში და „გაფრთხილების“ ველში ჩანაწერის „საზოგადოებრივი საზღვრები: გააჩნია აღმოსავლეთით გზის მხარეს (იხ. დანართი)"-ის ნაცვლად დაფიქსირდეს: „საზოგადოებრივი საზღვრები: გააჩნია აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით გზების მხრიდან (იხ. დანართი)“.
2. სამსახურის 2018 წლის 21 დეკემბრის №4313812 ბრძანებაზე თანდართული დანართი (უკანა ეზოს და საზოგადოებრივი საზღვრების დატანით) ჩანაცვლდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული დანართით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 დეკემბრის №4313812 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 21 დეკემბრის №4313812 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.